

**მახვილის საკითხისათვის
ქართველურ მეტყველებაში
ISSUE OF STRESS
IN KARTVELIAN SPEECH**

რევაზ შეროზია

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ზუგდიდი. საქართველო

Revaz Sherozia

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi
Zugdidi. Georgia

ABSTRACT

The word stress is not reflected in the literary form of the Georgian language that is common for all regions, while there are numerous and diverse speech forms. What captures attention are the differences between the speech of the lowland and mountainous regions. Among the differences, the word stress is particularly highlighted.

The Kartvelian idioms of mountainous regions are distinct due to their strong tonal stress. As a result of the stress, the final vowel of the word form is removed, ending the word with a closed syllable. Svan and Khevsurian display a similar situation in this respect. In the Tushian dialect, the final vowel of the word is suppressed by the glottal ʕ (ɣ) sound (q'velaʕ – q'vela). It could be stated that within the same language system, despite the territorial separation, the same structural element is applied in the same way.

According to the analyzed material, it is impossible to classify the two speech forms in different ways: one (i.e. Svan) as a separate language structure, and the other (i.e. Khevsurian) as a dialect. Similar evaluation is also unacceptable from the ethnological point of view. The Svans, the Khevsurians, the Tushetians cannot represent different ethnic groups because they perceive the world through one language system.

საკვანძო სიტყვები: ქართული/ქართველური ენა, დიალექტოლოგია, ფონეტიკა, მახვილი.

Keywords: Georgian / Kartvelian Language, Dialectology, phonetics, stress.

ქართველური ენის სამწერლო-სალიტერატურო ფორმაში, რომელიც ყველა კუთხის ქართველისათვის ერთია, სიტყვის მახვილი არ აისახება. ზეპირი მეტყველების ფორმები კი მრავალრიცხოვან-მრავალფეროვანია. ყურადღებას იქცევს სხვაობები ბარისა და მთის მეტყველებებს შორის. მათგან გამოკვეთილია სიტყვაფორმის მახვილი.

შენიშვნა: საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია მოსაზრებები მახვილთან დაკავშირებით. აქ მათ არ ვეხებით. ქვემოთ მსჯელობა იქნება მახვილის ფონეტიკურ დანიშნულებაზე. ფონოლოგიური ფუნქცია ცალკე განხილვის საკითხია.

ქართველოლოგთა უმრავლესობა სვანურ მეტყველებას დამოუკიდებელ ენობრივ სისტემად განიხილავს, ხევსურულს კი – დიალექტად. ორივე მეტყველება საქართველოს მთიან ზოლში მოიხმარება, მაგრამ ტერიტორიულად ისინი დაშორებულნი არიან და ენობრივი ურთიერთგავლენა არ ივარაუდება. ამ ორი კუთხის მეტყველებაში გამოკვეთილია ძლიერი ტონური მახვილი სიტყვის ბოლო, დახურულ მარცვალზე. ამასთან, ორივე მეტყველებაში მახვილი მსგავსია როგორც თვისებით, ისე – დანიშნულებით: ჩამოაცილოს სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი და ფორმა დახურული მარცვლით დაამთავროს. ამავე დროს, მოკვეცილი ხმოვნის მორფოლოგიურ-ლექსიკურ დანიშნულებას მნიშვნელობა არა აქვს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხმოვნის ჩამოცილების პროცესი არ განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ხმოვან ელემენტს აზრობრივი დატვირთვა აქვს და მის გარეშე სიტყვაფორმის შინაარსი ბუნდოვანი ან გაუგებარი იქნება. საილუსტრაციო ნიმუშები:

სვანური: დინად ჩოსეგ ალ ლეზუტებ ლაჯმილას („ქალიშვილმა დაუდგა ეს საჭმელი ძმებს“); კაბ უდფა მანდ („კაბა შეუღებავი მქონდა“).

ხევსურული: გახენ და ნახ... ეშმა მავიდ... დაჯდ გაბური... ხმალ რო ამაილ, მახვდ თოფიც...

ხევსურულისათვის დამახასიათებელია, როცა ხმოვნით დაბოლოებულ ფორმას და კავშირი მიერთვის, ასეთ შემთხვევაში მახვილი გადაინაცვლებს ბოლო ხმოვანზე, რის შედეგადაც კავშირის ხმოვანი მოიკვეცება. შედეგი იგივეა, – სიტყვაფორმა დახურული მარცვლით დაბოლოვდება:

არ უგდავ ყური-დ' წასულან.

თუშური მეტყველებაც, სვანურისა და ხევსურულის მსგავსად, ღია მარცვალს ერიდება. ოღონდ და კავშირის წინამავალ, ხმოვანზე დამთავრებულ ფორმასთან მიერთების გარდა, მეგრული მეტყველების მსგავსად, აქტიურად იყენებს „მაგარი შემართვის“ **ყ** ბგერას, **ყ**-ს გადაწეულ რეფლექსს:

...დუნწვ ციხეები-დ' ყველაყ გამქლტ, თუ რა-რა ყოფილიყო-დ' ქალ-ზალ ტყვედ წქსს.

აქაც თვალსაჩინოა, რომ თუშური მეტყველებაც ცდილობს თანხმოვნებით „ჩაკეტოს“ წარმოსათქმელი სიტყვაფორმები. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის დასახურად

აქტიურად იყენებს გლოტალურ **ქ**-ს. შესამჩნევია ისიც, რომ ეს ბგერა ხმოვნებს ახლავს სიტყვის თავშიც და შუაშიც. ამ მხრივ ის პარალელს პოულობს მეგრულის ურთა-ცაიშის თქმაში, სადაც ხშირ შემთხვევაში სიტყვის თავში ი ხმოვანს უსწრებს **ქ** (მაგ., ცირო „მუდამ, ყოველთვის“).

ზეპირი მეტყველებისათვის გამოყენებული ნებისმიერი ენობრივი ელემენტი გარკვეული ფუნქციით არის დატვირთული. „ზედმეტი“ ენაში არაფერია. სვანურ, ხევსურულ, თუშურ მეტყველებაში ძლიერ ტონურ მახვილს თავისი დანიშნულება აქვს, – მკაცრი კლიმატური პირობების გამო მეტყველი ცდილობს, სამეტყველო ნაწილები მაქსიმალურად დახურული ჰქონდეს. ბარის მეტყველებაში ასეთი მახვილის და, შესაბამისად, სიტყვაფორმათა „ჩაკეტვის“ აუცილებლობა არ არის. ამიტომაც აქ „ღია“ დაბოლოებებიც ჩვეულებრივია.

სვანური, ხევსურული, თუშური მეტყველებების ზემოთ აღნიშნული ვითარება ცალსახად მიუთითებს, რომ ერთი ენობრივი სისტემის შიგნით, ტერიტორიული დაშორების მიუხედავად, ერთი და იგივე სტრუქტურული ელემენტი ერთგვარად გამოიყენება. ამ მონაცემის გათვალისწინებით შეუძლებელი ჩანს გაანალიზებული ზეპირი მეტყველებები (სვანური, ხევსურული) სხვადასხვაგვარად დაკვალიფიცირდეს, – ერთი განი-საზღვროს როგორც ენობრივი სისტემა, მეორე კი – როგორც დიალექტი. მსგავსი შეფასება მიუღებელია ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც, – სვანი, ხევსური, თუში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები ვერ იქნებიან, რადგან ისინი ერთი ენობრივი სისტემით აღიქვამენ სამყაროს. ქართველურ წერით მეტყველებას ერთგვარად მიემართება ზეპირი მეტყველების ფორმები: კახური, თუშური, მეგრული, აჭარული, სვანური, ხევსურული, რაჭული, ქართლური...

გამოყენებული ლიტერატურა

თოფურია... 2000: თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი. თბილისი, 2000.

ჭინჭარაული 2005: ჭინჭარაული ალ., ხევსურული ლექსიკონი. თბილისი, 2005.